



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ტ უ რ ი ზ მ ი

2020

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია.....	4
პროგრამის აღწერა	5
პროგრამის მიზანი.....	6
სწავლის შედეგები	7
კომპეტენციების რუკა.....	9
კურსის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა.....	9
სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა	10
პროგრამის სტრუქტურა.....	11
პროგრამის სასწავლო გეგმა	12
სწავლების ორგანიზება	17
ზოგადი აღწერა	17
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.....	20
სწავლება-სწავლის მეთოდები.....	22
შეფასების სისტემა	27
შეფასების კომპონენტები	29
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.....	30
პროგრამის დასაქმების სფერო	31

პროგრამის პარტნიორები.....	32
ეკონომიკური აგენტები	32
საერთაშორისო პარტნიორები	32
პროგრამის ინტერნაციონალიზაცია.....	33
საერთაშორისო პროგრამები	34
პროგრამის რესურსები	35
მატერიალური რესურსი.....	35
პროგრამის აკადემიური კორპუსი.....	36

ზოგადი ინფორმაცია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტურიზმის ბაკალავრი

სწავლების ენა: ქართული

სწავლის ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი
8 სემესტრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი /6000 ასტრონომიული საათი/

პროგრამის ხელმძღვანელი: მალხაზ ღვინჯილია

პროგრამის აღწერა

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად ტურიზმი მიიჩნევა. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აქტუალობა საზოგადოებაში ტურიზმის დარგში დასაქმებისადმი მზარდი ინტერესითა და გაზრდილი მოთხოვნილებით არის განპირობებული. დღეს, როდესაც ჩვენ ქვეყანაში ტურისტული ნაკადების დინამიკა ზრდადი ტემპებით ხასიათდება, იხსნება ახალი ტურისტული ცენტრები და შესაძლებლობები, თანამედროვე და კვალიფიციური ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადება პრიორიტეტულია.

საგანმანათლებლო პროგრამის ამოცანაა შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური და დემოკრატიულ-ჰუმანურ ფასეულობებზე ორიენტირებული ბაკალავრების მომზადება ტურიზმში, რომელთაც ექნებათ თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში საქმიანობისთვის შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული უნარები ტურისტული ინდუსტრიის სტრუქტურაში პრაქტიკული საქმიანობისთვის.

პროგრამა ორიენტირებულია განიხილოს მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები; ტურისტული ინდუსტრიის როლი და მნიშვნელობა, როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ ასპექტში; ტურისტული საწარმოების მართვის საკითხები, შესძინოს სტუდენტს ტურისტული პროდუქტის დამოუკიდებლად შექმნის და კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები.

პროგრამის მიზანი

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია:

- განუვითაროს სტუდენტებს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების, გარემოსდაცვითი და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ტურისტული დანიშნულებით ექსპლუატაციისთვის შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული უნარები;
- გაარკვიოს სტუდენტები ტურისტული ინდუსტრიის მმართველობით და დარგობრივ სტრუქტურაში, შეასწავლოს მათ ტურისტული ბაზრის სამომხმარებლო ღირებულებების ფორმირების მექანიზმი, მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის თანამედროვე მდგომარეობა და მდგრადი განვითარების ტენდენციები/პერსპექტივები;
- განუვითაროს სტუდენტებს ტურისტული მომსახურების სისტემაში, ტურისტებთან ურთიერთობის სერვისის, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

სწავლის შედეგები

- I. განმარტავს ტურიზმის სფეროში გამოყენებულ ძირითად ცნებებს, ტერმინებს და კანონმდებლობის მოთხოვნებს.
- II. აცნობიერებს ტურიზმის მენეჯმენტის ძირითად კონცეფციებს და მოდელს, ტურიზმის სფეროს შესწავლის მნიშვნელობას; ახდენს ტურიზმის ინდუსტრიის სტრუქტურაში შემავალი ერთეულების/ სუბიექტების კლასიფიკაციის იდენტიფიცირებას; აანალიზებს ტურიზმის მმართველობით კატეგორიებს და მათ ფუნქციონალურ მახასიათებლებს ტურიზმის მენეჯმენტის სისტემაში.
- III. აღწერს ტურიზმის მარკეტინგის სფეროში ტურისტული მომსახურებისადმი მომხმარებელთა მიერ წამოყენებულ მოთხოვნა /მოლოდინებს, ტურისტული დესტინაციებისა და ღონისძიებების რეკლამირებას. არჩევს ტურიზმის საწარმოს ეკონომიკური და ფინანსური რეალიზაციის თავისებურებებს.
- IV. აცნობიერებს მომსახურების ტექნოლოგიების (ტრანსპორტი, განთავსება, კვება) მართვის ზოგად ამოცანებს: სასტუმრო ბიზნესის განვითარების, სასტუმროს პერსონალის ფუნქციების, კვებისა და ტურისტთა სატრანსპორტო უზრუნველყოფის საკითხებს.
- V. აღწერს ტურიზმის რეგიონულ დირსშესანიშნაობებს. არჩევს მსოფლიოს ტურისტულ რაიონებს, მათ იერარქიასა და ტიპოლოგიას. აანალიზებს საერთაშორისო ტურიზმის განვითარების გლობალურ და რეგიონულ ასპექტებს.
- VI. ახდენს საქართველოს ტურისტული რესურსების ბუნებრივ-რეკრეაციული და საკურორტო-ტურისტული პოტენციალის ხარისხობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირებას. აღწერს საქართველოს რეგიონებში არსებული სტრატეგიული ტურისტული რესურსებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი ინფრასტრუქტურის მდგომარეობას.

- VII. აცნობიერებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში კულტურული და ეთნოგრაფიული ტურიზმის, როგორც პრიორიტეტული მიმართულებების მნიშვნელობას საერთაშორისო მოგზაურობებში.
- VIII. ახდენს თანამედროვე საბუნებისმეტყველო ტურიზმის დარგობრივი მიმართულებების (ეკოლოგიური, აგრო, სამკურნალო-კურორტოლოგიური) იდენტიფიცირებას; ცალკეული მიმართულებების შესაბამისად რესურსული პოტენციალისა და შესაძლებლობების შეფასებას.
- IX. ახორციელებს მიზნობრივ-თემატური ტურისტული პროდუქტის შექმნას, ტურების/ექსკურსიების დაგეგმვას, თვითღირებულების გამოთვლასა და ფასის დადგენას.
- X. ახორციელებს ბილეთების დაჯავშნას საერთაშორისო დაჯავშნის სისტემების გამოყენებით: ტრანსპორტირებას, განთავსებას, კვებას, ცალკეული ჯგუფებისა და ინდივიდებისათვის.

კომპეტენციების რუკა

კურსის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა

სწავლის შედეგები		სწავლის შედეგების ნუმერაციის მიხედვით									
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
პროგრამის მიზნები											
I	განუვითაროს სტუდენტებს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების, გარემოსდაცვითი და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ტურისტული დანიშნულებით ექსპლუატაციისთვის შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული უნარები.						✓	✓	✓		
II	გაარკვიოს სტუდენტები ტურისტული ინდუსტრიის მმართველობით და დარგობრივ სტრუქტურაში, შესწავლოს მათ ტურისტული ბაზრის სამომხმარებლო ღირებულებების ფორმირების მექანიზმი, მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის თანამედროვე მდგომარეობა და მდგრადი განვითარების ტენდენციები/პერსპექტივები;	✓	✓	✓		✓					
III	განუვითაროს სტუდენტებს ტურისტული მომსახურების სისტემაში, ტურისტებთან ურთიერთობის სერვისის, როგორც				✓					✓	✓

თეორიული, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევები											
--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა

სწავლის შედეგები		სწავლის შედეგების ნუმერაციის მიხედვით									
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10
I	ტურიზმის საფუძვლები	✓									
II	ტურიზმის გეოგრაფია					✓					
III	ტურიზმის ეკონომიკა			✓							
IV	ტურიზმის მენეჯმენტი		✓								
V	ტურიზმის მარკეტინგი			✓							
VI	სასტუმროს მენეჯმენტი				✓						
VII	საქართველოს ტურისტულ- რეკრეაციული რესურსები						✓				
VIII	საერთაშორისო ტურიზმი					✓					
IX	კულტურული ტურიზმი							✓			
X	აგრო, ეკოლოგიური ტურიზმი და გარემოს დაცვა								✓		
XI	ეთნოგრაფიული ტურიზმი							✓			
XII	სამკურნალო ტურიზმი და რეკრეალოგია								✓		
XIII	რესტორნის მენეჯმენტი				✓						
XIV	ტრანსპორტის ინდუსტრია ტურიზმში				✓						
XV	ტუროპერეტიინგი									✓	
XVI	გიდის ხელოვნება									✓	
XVII	დაჯავშნისა და რეზერვაციის სისტემები ტურიზმში										✓
XVIII	პროფესიული პრაქტიკა									✓	✓
XIX	საბაკალავრო ნაშრომი ტურიზმში	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	



პროგრამის სტრუქტურა

პროგრამა აგებულია ECTS პრინციპის საფუძველზე და ითვალისწინებს სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური პროფილის ფორმირებას სასწავლო, პრაქტიკული და მცირე სასწავლო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას სპეციალობის, სპეციალობისა და თავისუფალი კრედიტების ბლოკებში, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კომპონენტებით.

ბლოკი	ბლოკის აღწერა	ECTS კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	ემსახურება ტურიზმის საკვანძო სასწავლო დისციპლინების შესწავლას	136
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	სპეციალობის არჩევითი კრედიტების დაგროვება ხდება შეთავაზებული ჩამონათვალიდან სასწავლო კურსების სტუდენტის ინდივიდუალური ინტერესების შესაბამისად არჩევით.	37
თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები	ბლოკი ემსახურება სტუდენტის ზოგადი კომპეტენციის ფორმირებას, აკადემიური კომუნიკაციის საფუძვლებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარების გამომუშავებას.	12
თავისუფალი სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები	სტუდენტი ვალდებულია გაიაროს უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, ესპანური) ბლოკი 30 კრედიტის ოდენობით, არანაკლებ დარგობრივი უცხო ენის ჩათვლით, ენობრივი დონის სასწავლო კურსების წინაპირობების გათვალისწინებით. დაბალი ენობრივი კომპეტენციის დონის მქონე ან დარგობრივი ენის გაღრმავებით დაინტერესებული სტუდენტებისათვის დასაშვებია დამატებითი კრედიტების ათვისება ენის კომპონენტში თავისუფალი არჩევითი კრედიტების ხარჯზე უნივერსიტეტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის შესაბამისად.	30
თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები	სტუდენტს შეუძლია არჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები საინტერესო სფეროებში თვალსაწიერის გაფართოების მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო პროგრამებიდან, სასწავლო კურსის შესწავლისათვის გათვალისწინებული შესაბამისი წინაპირობების დაცვით.	25

პროგრამის სასწავლო გეგმა

N	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS	სულ საათები	დაშვების წინაპირობა	აკადემიური დატვირთვა						კრედიტების სემესტრული განაწილება							
					ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა ან პრაქტიკული ან ლაბორატორიული	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო	დამოუკიდებელი მუშაობა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
ძირითადი სწავლების სფეროს სასწავლო კურსები																		
	სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	136			შესაბამის სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტების რაოდენობა						I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
											18	18	20	16	14	24	14	12
1	კალკულუსი 1	6	150	არ აქვს	15	30	2	3	50	100	6							
2	ეკონომიკის პრინციპები	6	150	არ აქვს	15	30	2	3	50	100	6							
3	მენეჯმენტის საფუძვლები	6	150	არ აქვს	15	30	2	3	50	100	6							
4	ტურიზმის საფუძვლები	6	150	არ აქვს	15	30	2	3	50	100		6						
5	ტურიზმის გეოგრაფია	6	150	არ აქვს	15	28	1	2	46	104		6						
6	ტურიზმის ეკონომიკა	6	150	ეკონომიკის პრინციპები	15	30	1	2	48	102		6						



7	მარკეტინგის საფუძვლები	5	125	არ აქვს	15	30	2	3	50	75			5					
8	ფინანსური აღრიცხვა 1	5	125	არ აქვს	15	30	2	3	50	75			5					
9	ტურიზმის მენეჯმენტი	6	150	ტურიზმის საფ.; მენეჯ. საფ.	15	30	1	2	48	102			6					
10	ტრანსპორტის ინდუსტრია ტურიზმში	4	100	ტურიზმის საფუძვლები;	15	15	1	2	33	67			4					
11	ტურიზმის მარკეტინგი	6	150	ტურიზმის საფუძვლები; მარკეტინგის საფუძვლები	15	30	1	2	48	102				6				
12	სასტუმროს მენეჯმენტი	4	100	ტურიზმის მენეჯმენტი	15	15	1	2	33	67				4				
13	კულტურული ტურიზმი	6	150	ტურიზმის საფუძვლები;	15	30	1	2	48	102				6				
14	რესტორნის მენეჯმენტი	4	100	ტურიზმის მენეჯმენტი	15	15	1	2	33	67					4			
15	ეთნოგრაფიული ტურიზმი	4	100	ტურიზმის საფუძვლები;	15	15	1	2	33	67					4			
16	საერთაშორისო ტურიზმი	6	150	ტურიზმის საფუძვლები;	15	30	1	2	48	102					6			
17	საქართველოს ტურისტულ- რეკრეაციული რესურსები	6	150	ტურიზმის საფუძვლები, ტურიზმის გეოგრაფია	15	30	1	2	48	102						6		
18	The Touristic-Recreational Resources of Georgia			ტურ. საფ. დარგ. ინგლ. ტურიზმ	15	30	2	3	50	100								
19	აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა	6	150	ტურიზმის საფუძვლები	15	30	1	2	48	102						6		
20	სამკურნალო ტურიზმი და რეკრეალოგია	6	150	ტურიზმის საფუძვლები	15	30	2	3	50	100							6	
21	Gesundheitstourismus			ტურიზმის საფუძვლები;	15	30	2	3	50	100								

				დარგ. გერმ. ტურიზ.														
22	ტუროპერეტივინგი	6	150	ტურიზმის საფუძვლები ფინანსური აღრიცხვა I	15	30	2	3	50	100							6	
23	გიდის ხელოვნება	5	125	ტურიზმის საფუძვლები	15	30	1	2	48	77								5
24	დაჯავშვნის საერთაშორისო სისტემები ტურიზმში	4	100	ტუროპერეტივინგი	16	28+3	2	3	52	48								4
25	კვლევის მეთოდები ბიზნესში	5	125	ტურიზმის საფუძვლები	15	30	2	3	50	75								5
26	პრაქტიკა ტურიზმში	6	150	ტუროპერეტივინგი	სტუდენტს შეუძლია საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აირჩიოს ტურისტული კომპანია, სასტუმრო ან სავაჭრო პრაქტიკა „პრაქტიკის შესრულების ინსტრუქციის შესაბამისად“												6	
27	საბაკალავრო ნაშრომი ტურიზმში	6	150	აკადემიური წერა; კვლევის მეთოდები ბიზნესში	სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომს ირჩევს და ასრულებს „საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქციის“ შესაბამისად												6	
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები		13	შესაბამის სემესტრში ასათვისებელი არჩევითი კრედიტების რაოდენობა								I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
													4	4		5		
28	მსოფლიოს საზოგადოებრივი გეოგრაფია	4	100	არ აქვს	15	15	1	2	33	67								
29	ანიმაცია ტურიზმში	4	100	არ აქვს	15	15	1	2	33	67								
30	ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი	4	100	არ აქვს	15	15	1	2	33	67								
31	ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება	4	100	არ აქვს	15	14	1	2	32	68								
32	ტურიზმის სტატისტიკა	5	125	კალკულუსი 1	15	30	1	2	48	77								

33	რელიგიური ტურიზმი	5	125	არ აქვს	15	30	1	2	48	77								
34	გეოინფორმაციული სისტემები ტურიზმში	6	150	თანამედროვე საოფისე პროგრამები	15	30	2	3	50	100								
35	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმში	6	150	არ აქვს	15	30	1	2	48	102								
36	Human Resource Management in Tourism		150	დარგ. ინგლ. ტურ. 1	15	28	2	3	48	102								
37	გასტრონომიული ტურიზმი	5	125	კულტურული ტურიზმი	15	30	1	2	48	77								
38	Kunst der Gästeführung		125	გერმანული ენა B2.2	15	30	2	3	50	75								
39	უსაფრთხოება ტურიზმში	4	100	არ აქვს	15	15	1	2	33	67								
40	შრომის უსაფრთხოება	2	50	არ აქვს	15	15	2	3	35	15								
41	გადასახადები და დაბეგვრა	5	125	არ აქვს	15	30	2	3	50	75								
42	ეკოლოგია და ჯანმრთელობა	3	75	არ აქვს	15	15	2	3	35	40								

თავისუფალი კომპონენტები

	საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები	12	შესაბამის სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტების რაოდენობა								I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
			6	6	6	6	6											
	აკადემიური წერა	6	150	არ აქვს	15	30	2	3	50	100	6							
	თანამედროვე საოფისე პროგრამები	6	150	არ აქვს	15	30	2	3	50	100		6						



სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები	30	სტუდენტის არჩეულ უცხო ენაში სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტები									6	6	6	6	6			
უცხო ენა B1/1	6	150	არ აქვს	-	45	2	3	50	100	6								
უცხო ენა B1/2	6	150	უცხო ენა B1/1	-	45	2	3	50	100		6							
უცხო ენა B2/1	6	150	უცხო ენა B1/2	-	45	2	3	50	100			6						
უცხო ენა B2/2	6	150	უცხო ენა B2/1	-	45	2	3	50	100				6					
დარგობრივი უცხო ენა ტურიზმისათვის	6	150	უცხო ენა B2/2	-	45	2	3	50	100					6				
საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები	შესაბამის სემესტრში ასათვისებელი თავისუფალი კრედიტების რაოდენობა									I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
თავისუფალი სასწავლო კურსები	49													4	10	5	15	15
სულ	240										30	30	30	30	30	30	30	30

სწავლების ორგანიზება

ზოგადი აღწერა

საბაკალვრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი) და მისი აკადემიური დატვირთვის მოცულობა ითვალისწინებს 240 ECTS კრედიტის დაგროვებას.

ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

კრედიტის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას. სასწავლო კვირების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 38 კვირას, ერთი სემესტრის განმავლობაში - 19 კვირას, რომელშიც მოიაზრება 15 სასწავლო კვირა და 4 კვირა საგამოცდო პერიოდი.

სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.

ყველა სასწავლო კურსი ითვალისწინებს ერთ შუალედურ გამოცდას, რომელიც ტარდება მე-7 კვირას. ყოველი სასწავლო კურსი სრულდება დასკვნითი გამოცდით.

პროგრამა შედგენილია ტურიზმის დარგში არსებული თანამედროვე გამოწვევების საქართველოს შრომის ბაზრის კონტექსტში გათვალისწინებით, მიმართულია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლების შედეგების გამომუშავებაზე, რაც მოცემულ სფეროში ზოგადი ცოდნის და სფეროს სხვადასხვა ქვედარგის შესახებ სტუდენტის ინფორმირებულობას ისახავს მიზნად, ითვალისწინებს ტურიზმის ზოგადი დისციპლინების, ტურიზმის ძირითადი მიმართულებების ცალკეული ქვედისციპლინებში ცოდნის გაღრმავების, პრაქტიკული და საბაზისო კვლევითი უნარების განვითარებას.

პროგრამა სრულდება ტურიზმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების სწავლების ენა - ქართულია, ძირითადი სასწავლო მასალები წარმოდგენილია ქართულ ენაზე, რიგი დამატებითი მასალები მოყვანილია უცხოენოვანი წყაროების ფორმითაც. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის გათვალისწინებით პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო კურსები ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა აგებულია მარტივიდან რთულისკენ და ზოგადი დისციპლინებიდან - კონკრეტულ ქვედარგებამდე, რაც გულისხმობს პროგრამის სავალდებულო კომპონენტში ტურიზმის ბაკალავრის კვალიფიკაციისთვის აუცილებელი სასწავლო დისციპლინების საჭირო მოცულობით სწავლებას, პროგრამის არჩევითობის უზრუნველყოფას ტურიზმის სხვადასხვა ქვედარგის მომცველი საბაკალავრო საფეხურისთვის ადეკვატური, მრავალი არჩევითი სასწავლო კურსის შეთავაზებას, ხოლო პროგრამის დამთავრებისას პრაქტიკული და კვლევითი უნარების განმტკიცებას, შესაბამისად, პრაქტიკული და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტის შეთავაზებით.

დარგის გამოწვევების გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებულია უცხო ენის მაღალ დონეზე სწავლება, რაც პროგრამის მინიმუმ ხუთ სემესტრიანი ენობრივი სწავლების ბლოკით არის უზრუნველყოფილი. სტუდენტი ვალდებულია გაიაროს უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, ესპანური) ბლოკი 30 კრედიტის ოდენობით, არანაკლებ დარგობრივი უცხო ენის ჩათვლით, ენობრივი დონის სასწავლო კურსების წინაპირობების გათვალისწინებით.

დაბალი ენობრივი კომპეტენციის დონის მქონე ან დარგობრივი ენის გაღრმავებით დაინტერესებული სტუდენტებისათვის დასაშვებია დამატებითი კრედიტების ათვისება ენის კომპონენტში თავისუფალი არჩევითი კრედიტების ხარჯზე უნივერსიტეტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის შესაბამისად.

პროგრამა დასრულებულად ითვლება, როცა სტუდენტი დააგროვებს არანაკლებ 240 ECTS კრედიტს, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო კომპონენტის შესრულებას და პროგრამის არჩევითი კომპონენტებით კრედიტების დაგროვებას არანაკლებ ამ კომპონენტით გათვალისწინებული ოდენობით.

სტუდენტი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (emis.seu.edu.ge) მეშვეობით იღებს ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მიმდინარეობასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში ჩარიცხვისას, სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შესასვლელ სახელსა და პაროლს. მას შეუძლია აკადემიური რეგისტრაცია გაიროს უნივერსიტეტში მოსვლის გარეშე და აქვს აკადემიური თავისუფლება, აკადემიური რეგისტრაციის დროს დარეგისტრირდეს მისთვის სასურველ სასწავლო კურსებზე მისი საგანმანათლებლო პროგრამის გათვალისწინებით, წინასწარ იქონიოს ინფორმაცია სამომავლოდ გასავლელ სასწავლო კურსებზე, ნახოს სასწავლო კურსების სილაბუსები და საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაეცნოს თითოეული სასწავლო კურსის შეფასების სისტემას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

ჩარიცხვის პირობები

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და რომელიც, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას აღნიშნულ პროგრამაზე და გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას სეუ-ში.

ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასაშვებია:

- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსმიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ე) უნივერსიტეტი ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვების მსურველი პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ატარებს გასაუბრებას და უზრუნველყოფს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობას

მობილობის წესით ჩარიცხვა

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან / პროგრამიდან მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი ან სტატუსშეწყვეტილ პირს, სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში.

სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. ლექტორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, ირჩევს ლექტორი.

ლექცია - შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობს ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული.

ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

დამოუკიდებელი მუშაობა ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით. სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

წიგნზე მუშაობის მეთოდი დამოუკიდებლად მიცემული საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი.

წერიტი მუშაობის მეთოდი გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.

პრაქტიკული მეთოდები აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შექმნილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: პრაქტიკა, სავლელე მუშაობა და სხვ.

დისკუსია/დებატები ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს სასწავლო კურსის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - შემთხვევების შესწავლა, აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. ქეისების ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვაზე. ქეისი წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად ავითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

გონებრივი იერიში (Brain storming) მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა.
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

როლური და სიტუაციური თამაშები სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორცაა მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება.

ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა–განმარტებითი მეთოდი ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

ვერსტიკული მეთოდი ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

ლაბორატორიული მეცადინეობა უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. სასწავლო ლაბორატორიებში გამოიმუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელდება ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

საბაკალავრო ნაშრომი ბაკალავრიატის საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და მისი მიზანია სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და კონკრეტული სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური თუ პროფესიული ამოცანების დასაბუთებული გადაწყვეტა. ნაშრომმა უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის მეთოდებისა და ექსპერიმენტების დაუფლების დონე და მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში სტუდენტის მზადყოფნა დამოუკიდებელი მუშაობისთვის. კონსულტაცია - საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელთან სტუდენტის მიერ გამოყენებული საკონტაქტო დრო, როდესაც სტუდენტი იღებს ინფორმაციას შესასრულებელი ნაშრომის ფარგლებში გეგმის



შედგენის, ემპირიული მასალის მოძიების, დამუშავების, ნაშრომის შინაარსობრივი ნაწილის დასკვნების გამოტანის, ნაშრომის ტექნიკური გაფორმების, მისი საპრეზენტაციოდ მომზადების საკითხებში.

პროფესიული პრაქტიკა არის სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი და წარმოადგენს სტუდენტის დაგეგმილ და მიზანმიმართულ საქმიანობას, აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკული უნარების შეძენას. პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს სტუდენტების შეიარაღება პრაქტიკული უნარებით და მათი მომზადება მომავალი დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისთვის. პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია სამი მხარე: უნივერსიტეტი, სტუდენტი და პოტენციური დამსაქმებელი/მიმღები ორგანიზაცია/პრაქტიკის ობიექტი, ამდენად იგი სამივე მხარისათვის მნიშვნელოვანია: აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან; სამუშაო გარემოში ჩართვა, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება; სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშება; ახალი კომპეტენციების გამომუშავება; საგანმანათლებლო პროგრამების განახლება სწარაფცვალებადი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; კურსდამთავრებულთა დასაქმების ამაღლება; მოტივირებულ ახალგაზრდებთან ურთიერთობა; უკეთ მომზადებული პროფესიონალის აღზრდის ხელშეწყობა; საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფაში მონაწილეობა ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.
- მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას ლექტორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.

შეფასების სისტემა

სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებებით კომპეტენციის ზღვარის დაძლევა (შუალედური შეფასების 30 % - არანაკლებ 21 ქულა).

დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30%-ს - არანაკლებ 9 ქულას.

კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.

შეფასების კომპონენტები

სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და ის მრავალკომპონენტურია.

შეფასების კომპონენტების გადანაწილება

მაქსიმალური 100 ქულის გადანაწილება და თითოეული კომპონენტის ხვედრითი წილი შემდეგნაირია:

შუალედური შეფასება - 70 ქულა

მათ შორის:

აქტივობა - 52 ქულა,

შუალედური გამოცდა - 18 ქულა

დასკვნითი გამოცდა - 30 ქულა

სტუდენტის აქტივობაში იგულისხმება სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მიერ შესრულებული ყველა აქტივობა და მონაწილეობა, რაც კონკრეტული საგნის სილაბუსით არის განსაზღვრული (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ თუ ლაბორატორიულ მეცადინეობაზე აქტიურობა, პრეზენტაციების შესრულება, დისკუსიებში მონაწილეობა, საშინაო დავალებებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება, ესსეს წერა და სხვ. აქტივობები).

ცალკეული კომპონენტის შეფასების ინდივიდუალური კრიტერიუმები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო მოცულობაში (100 ქულა) გააჩნია შემდეგი ხვედრითი წილი: შუალედური შეფასება - 70 % და დასკვნითი შეფასება - 30%. შეფასების თითოეულ ფორმას გააჩნია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის გადალახვა აუცილებელია აღნიშნულ შეფასებაში დადებითი შედეგის დაფიქსირებისთვის. შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შედაგენს 30-30%-ს. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით. შეფასების კრიტერიუმები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით სწავლა გააგრძელოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ტურიზმის ან სხვა ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულთა დასაქმების ორგანიზაციები

ტურიზმის პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს დასაქმდეს და დაიკავოს შესაბამისი სამსახურეობრივი პოზიციები როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში:

- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- ტურისტული ფირმები;
- საკურორტო და რეკრეაციული კომპლექსები;
- საექსკურსიო ბიუროები;
- განთავსების სისტემები;
- მუზეუმები და ტურისტული ინდუსტრიის სხვა ობიექტები.

კურსდამთავრებულის დასაქმების პოზიციები

- სპეციალისტი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციაში;
- განთავსების სისტემის ადმინისტრატორი;
- მომსახურების გაყიდვების სპეციალისტი;
- ტურაგენტი;
- სერვისის სპეციალისტი;
- ტუროპერატორი;
- ტურების გაყიდვების სპეციალისტი;
- სატრანსპორტო განყოფილების სპეციალისტი.

პროგრამის პარტნიორები

ეკონომიკური აგენტები

- სასტუმრო თბილისი მარიოტი;
- სასტუმრო ჰოთელს&პრეფერენს ჰუალინგ თბილისი;
- შპს Blue Bird Travel;
- შპს Discover Georgia;
- შპს Discovery Georgia;
- შპს Geo City Travel;
- შპს ვერე პალასი;
- შპს ტრიადა;
- შპს ტურისტული კომპანია გლობუსი.

საერთაშორისო პარტნიორები

- Turība University (ლატვია)
- IBS International Business School Budapest (უნგრეთი)
- University of Gdansk (პოლონეთი)
- University of Donja Gorica (მონტენეგრო)
- Polytechnic Institute of Bragança (პორტუგალია)
- International Institute for Hospitality (გერმანია)

პროგრამის ინტერნაციონალიზაცია

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ორიენტაცია დარგის საერთაშორისო კონტექსტთან შესაბამისობაზე და პროგრამის კურსდამთავრებულთა საზღვარგარეთ დასაქმების/სწავლის გაგრძელებისთვის მნიშვნელოვანი უნარებით აღჭურვაზე გამოიხატება შემდეგით:

უცხო ენაზე პროფესიული კომუნიკაციის კომპეტენციის განვითარება

პროგრამის ფარგლებში სავალდებულოდ გათვალისწინებულია სტუდენტის არჩევით დასავლურ ენაზე საკომუნიკაციო უნარების განვითარება, არანაკლებ დამოუკიდებელი პროფესიული კომუნიკაციის (B2+) დონეზე.

სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია მეორე უცხო ენის შესწავლის შესაძლებლობა, პროგრამის თავისუფალი კრედიტებიდან.

არჩევით სასწავლო კურსების ნაწილში გათვალისწინებულია ინგლისურენოვანი სავალდებულო ან დამხმარე ლიტერატურა, სასწავლო კურსის დონისა და სწავლების სემესტრის შესაბამისად.

არჩევითი სტატუსით პროგრამაში გათვალისწინებულია ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი სასწავლო კურსები.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა აკადემიური მობილობის ხელშეწყობა

პროგრამის III და IV სასწავლო წლის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობა, დამატებითი გადასახადის გარეშე, აქედან სემესტრში უმაღლესი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს - უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით.

საერთაშორისო პროგრამები

- გაცვლითი პროგრამა ტურიზას უნივერსიტეტის საერთაშორისო ტურიზმის ფაკულტეტზე (ლატვია);
- გაცვლითი პროგრამა ბუდაპეშტის საერთაშორისო ბიზნესის სკოლის ტურიზმის პროგრამაზე (უნგრეთი);
- გაცვლითი პროგრამა გდანსკის უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის პროგრამაზე (პოლონეთი);
- გაცვლითი პროგრამა დონია გორიცას უნივერსიტეტის კულტურული ტურიზმის ფაკულტეტზე (მონტენეგრო);
- გაცვლითი პროგრამა ბრაგანცას პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომუნიკაციების, საჯარო მენეჯმენტისა და ტურიზმის ფაკულტეტზე (პორტუგალია)
- გაცვლითი პროგრამა სტუმარმასპინძლობის საერთაშორისო ინსტიტუტში პრაქტიკის, კვლევისა და სწავლების განვითარების სფეროში (გერმანია)

პროგრამის რესურსები

მატერიალური რესურსი

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ კამპუსში, უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ყველა სასწავლო აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი თანამედროვე ინფრასტრუქტურით.

უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურსი უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფით.

უზრუნველყოფილია სტუდენტების მიერ პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების მომსახურებაზე. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

პროგრამის აკადემიური კორპუსი

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის განმახორციელებელი	სტატუსი
კალკულუსი 1	იოსებ ფოჩხუა	ასოცირებული პროფესორი
	ლალი ქელბაქიანი	ასოცირებული პროფესორი
	რომან ჯანჯღავა	ასოცირებული პროფესორი
ეკონომიკის პრინციპები მენეჯმენტის საფუძვლები	ჯამლეთ ჯანჯღავა	პროფესორი
	თამარ ბიჭიკაშვილი	ასოცირებული პროფესორი
	დავით ჩახვაშვილი	პროფესორი
ტურიზმის საფუძვლები	კობა არაბული	პროფესორი
	ლარისა დოლიკაშვილი	ასოცირებული პროფესორი
	ნინო ლეთანძე	ასისტენტ-პროფესორი
	ლალი ოქროცვარიძე	მოწვეული ლექტორი
ტურიზმის გეოგრაფია	მალხაზ ღვინჯილია	მოწვეული ლექტორი
	ლანა მზარელუა	ასოცირებული პროფესორი
ტურიზმის ეკონომიკა	ლარისა დოლიკაშვილი	ასოცირებული პროფესორი
	მანანა ალადაშვილი	მოწვეული ლექტორი
	დემეტრი კობახიძე	ასოცირებული პროფესორი
მარკეტინგის საფუძვლები ფინანსური აღრიცხვა 1	პიტყურიშვილი ლია	მოწვეული ლექტორი
	გრიგოლაია ნინო	მოწვეული ლექტორი
	სესაძე ნელი	ასოცირებული პროფესორი
	გოდერძიშვილი ია	მოწვეული ლექტორი
	გრიგალაშვილი ნინო	მოწვეული ლექტორი
	ნანი გაგნიძე	ასოცირებული პროფესორი
	ზურაბ ზანგურაშვილი	მოწვეული ლექტორი
	მალხაზ ჭემშარიტაშვილი	ასოცირებული პროფესორი
ტრანსპორტის ინდუსტრია ტურიზმში	მალხაზ ჭემშარიტაშვილი	ასოცირებული პროფესორი
	ზურაბ ზანგურაშვილი	მოწვეული ლექტორი
ტურიზმის მარკეტინგი	სოფიკო თევდორაძე	მოწვეული ლექტორი

	მაია მელაძე	ასოცირებული პროფესორი
	მარინე ალანია	მოწვეული ლექტორი
სასტუმროს მენეჯმენტი	ლარისა დოლიკაშვილი	ასოცირებული პროფესორი
	ზურაბ ზანგურაშვილი	მოწვეული ლექტორი
კულტურული ტურიზმი	ნიკო კვარაცხელია	მოწვეული ლექტორი
	მაია ღვინჯილია	ასოცირებული პროფესორი
	თამარ თამარაშვილი	მოწვეული ლექტორი
რესტორნის მენეჯმენტი	ზურაბ ზანგურაშვილი	მოწვეული ლექტორი
	ლარისა დოლიკაშვილი	ასოცირებული პროფესორი
ეთნოგრაფიული ტურიზმი	მაია ღვინჯილია	ასოცირებული პროფესორი
	ნიკო კვარაცხელია	მოწვეული ლექტორი
	თამარ თამარაშვილი	მოწვეული ლექტორი
საერთაშორისო ტურიზმი	მანანა ალადაშვილი	მოწვეული ლექტორი
	ლანა მზარელუა	ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	მალხაზ ღვინჯილია	მოწვეული ლექტორი
	ლანა მზარელუა	ასოცირებული პროფესორი
აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა	ლანა მზარელუა	ასოცირებული პროფესორი
	მანანა ალადაშვილი	მოწვეული ლექტორი
სამკურნალო ტურიზმი და რეკრეალოგია	მაია ღვინჯილია	ასოცირებული პროფესორი
	მაია მელაძე	ასოცირებული პროფესორი
ტუროპერეტივინგი	კობა არაბული	პროფესორი
	მაია მელაძე	ასოცირებული პროფესორი
გიდის ხელოვნება	ნიკო კვარაცხელია	მოწვეული ლექტორი
	მანანა ალადაშვილი	მოწვეული ლექტორი
დაჯავშვნის საერთაშორისო სისტემები ტურიზმში	ნინო კეკელიძე	მოწვეული ლექტორი
	თამარ ექვთიმიშვილი	მოწვეული ლექტორი
ტურიზმის სტატისტიკა	შორენა მეტრეველი	მოწვეული ლექტორი
მსოფლიოს საზოგადოებრივი გეოგრაფია	ლანა მზარელუა	ასოცირებული პროფესორი
ანიმაცია ტურიზმში	მაია ღვინჯილია	ასოცირებული პროფესორი
რელიგიური ტურიზმი	ანა მაზმიშვილი	მოწვეული ლექტორი
ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი	მალხაზ ჭემშარიტაშვილი	ასოცირებული პროფესორი
გეოინფორმაციული სისტემები ტურიზმში	გიორგი კაკაშვილი	მოწვეული ლექტორი
ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება	გვანცა ხასია	მოწვეული ლექტორი
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმში	ეკა მაჭავარიანი	მოწვეული ლექტორი

გასტრონომიული ტურიზმი	ანა მაზმიშვილი	მოწვეული ლექტორი
Hotelmanagement	მაია ღვინჯილია	ასოცირებული პროფესორი
Kunst der Gästeführung	ნიკო კვარაცხელია	მოწვეული ლექტორი
The Touristic-Recreational Resources of Georgia	მაია ღვინჯილია	ასოცირებული პროფესორი
Gesundheitstourismus	მაია ღვინჯილია	ასოცირებული პროფესორი
Human Resource Management in Tourism	ეკა მაჭავარიანი	მოწვეული ლექტორი